

# ახალი საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება: თეოლოგია 1003 / Theology 1003

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: თეოლოგიის ბაკალავრი / Bachelor's degree of Theology

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი, თეოლოგიის დოქტორი, მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 (ECTS) კრედიტი, (1 კრედიტი = 25 საათს). პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი (8 აკადემიური სემესტრი). ერთი აკადემიური სემესტრი მოიცავს 19 კვირას (აქედან: 15 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 1 კვირა - შუალედურ გამოცდას, 3 კვირა - დასკვნითი გამოცდის მომზადებასა და ჩაბარებას).

## პროგრამის მიზანი

რელიგიის ფენომენის უნივერსალობა და აქტუალობა ნებისმიერი საზოგადოებისათვის ეჭვს არ იწვევს და შესაბამისად, თეოლოგიას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მეცნიერებათა სისტემაში. დარგის/პროგრამის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალური პროცესები უშუალო კავშირშია ადამიანის ყოფასთან, მის სამომავლო ცხოვრებასთან, სადაც მთელი რიგი საკითხების წარმატებული გადაწყვეტა თეოლოგიის ჭრილშია შესაძლებელი.

საქართველო ტრადიციულად მაღალი რელიგიური კულტურის ქვეყანაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ცხოვრებაში მე-20 საუკუნის გარკვეული ისტორიული გლობალური პროცესებით განპირობებული მიზეზებით, რელიგიური ცხოვრების აღორძინების პირობებში ეს პროგრამა შესაძლებელს გახდის თეოლოგიის უფრო ფართო რეპრეზენტაციას კვლევისა და სწავლების საერთაშორისო სივრცეში.

პროგრამაზე სწავლების ძირითადი მიმართულებაა მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება; ამავედროულად, პროგრამის ფარგლებში ზოგადად რელიგიის ფენომენის და მსოფლიო რელიგიების ფილოსოფიური გააზრება; აზროვნების რელიგიური პოსტულატების განმარტება და კრიტიკული გააზრება; როგორც შუა საუკუნეების, ისე აღორძინების, განმანათლებლობის, ახალი და უახლესი ეპოქების რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციების შესწავლა. პროგრამის მიზანია ბაკალავრიატის აკადემიური განათლების ფარგლებში სტუდენტთა პროფესიული მომზადება და იმ სასწავლო კურსების თეორიული ასპექტების დრმა ათვისების უზრუნველყოფა, რომლებიც ამზადებენ მათ სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომი აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე და პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისათვის. ამ მიმართულებით პროგრამის ამოცანაა იმ

საკითხების სწავლება/შესწავლა, ანალიზი, ათვისება და გადმოცემა, როგორცაა: თეოლოგიური ცოდნის საფუძვლები; ბიბლიის წიგნთა შინაარსი, ეგზეგეტიკა; ადამიანის ისტორიულ-კულტურული იდენტურობა, ცოდვით დაცემა და მისი შედეგები; ქრისტიანობა და ზოგადად, რელიგიის როლი თანამედროვე მსოფლიოში. რელიგიის ფენომენის სისტემატური და მეცნიერული გააზრება, მისი ჭეშმარიტება, საზრისი და მნიშვნელობა; მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო სწავლა-მოდერება და კულტურა; მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების მთავარი წარმომადგენლების, ნაშრომების, მოძღვრებების, იდეებისა და საფუძვლების შესწავლა და ადეკვატური ანალიზი; მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის, ქრისტიანული ფილოსოფიის საკვანძო თემების ანალიზი, დოგმატურ-საღვთისმეტყველო სწავლებათა განვითარების, რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებისა და გენეზისის, ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბების პროცესის შესწავლა, მართლმადიდებლური და არამართლმადიდებლური ქრისტიანული და სხვა რელიგიური სისტემების გაცნობა; ადამიანთა შორის რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრების ხელშეწყობა; ჩამოუყალიბოს სტუდენტს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, კითხვის დასმისა და არგუმენტირებული დასკვნის უნარი; ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფართო, ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში გააზრება და გაცნობიერება; განსხვავებული შეხედულებების, ტრადიციებისა და კულტურების პატივისცემა; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო იერარქიისათვის კვალიფიციურ მღვდელმსახურთა მომზადება; ქრისტიანული განათლების ხელშეწყობა, მათ შორის მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება.

მიმდინარე საბაკალავრო პროგრამის შედეგად, სტუდენტი მიიღებს კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების შესაბამის სისტემურ ცოდნას ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში; ექნება ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, შეეძლება მუშაობა დარგობრივ ლიტერატურასა და წყაროებთან, ასევე სრულყოფილად დაეუფლება მართლმადიდებლურ დოგმატურ ღვთისმეტყველებასა და სამოდერო წეს-ჩვეულებებს.

თეოლოგიის ბაკალავრს კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია დასაქმება როგორც სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ისე შესაბამის პრაქტიკულ სფეროში.

<b>სტუდენტის სწავლის შედეგები</b>		
<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.	თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება მოცემული სფეროს ფართო ცოდნა, რაც გულისხმობს: მართლმადიდებლური თეოლოგიის ძირითადი თეორიებისა და პრინციპების შესწავლასა და ანალიტიკულ გააზრებას; დარგის კომპლექსური საკითხების ადეკვატურ გაცნობიერებას; დოგმატური, ძირითადი და შედარებითი ღვთისმეტყველების მთავარი საკითხებისა და პრობლემის ფართო ცოდნას; ქრისტიანული ეკლესიის განვითარების ისტორიული

		<p>ეპოქების ცოდნას; ლიტურგიკური ღვთისმსახურების ცოდნას; ძირითადი საღვთისმეტყველო თეორიების ცოდნას თეოლოგიის ისეთ დარგებსა და სფეროებში, როგორცაა: წმ. წერილი, პატრისტიკა, დოგმატიკა, კანონიკური საეკლესიო სამართალი, ჰომილეტიკა, ასკეტიკა, დოგმატური ღვთისმეტყველება, ძირითადი ღვთისმეტყველება და სხვ.; ფილოსოფიის მთავარი დარგების, ბაზისური ცნებების, კატეგორიების, მოძღვრებებისა და პრობლემების ცოდნას; საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების მთავარი წარმომადგენლების, ფილოსოფიის ისტორიისა და ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკვანძო საკითხების ცოდნასა და გაცნობიერებას; ქართული ჰაგიოგრაფიული და საეკლესიო მწერლობის მთავარი ნაშრომებისა და წარმომადგენლების შესწავლასა და მათი მნიშვნელობის გაცნობიერებას ქართული საღვთისმეტყველო ტრადიციის ჩამოყალიბების პროცესში; ძველი და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესწავლასა და გაცნობიერებას.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p>	<p>თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: მის მიერ შესწავლილი საღვთისმეტყველო მეთოდების გამოყენებას რელიგიურ-თეოლოგიური ხასიათის პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის პროცესში; სპეციალური საღვთისმეტყველო ლიტერატურის კითხვასა და გააზრებას შესწავლილი მეთოდების გამოყენებით; თეოლოგიურ ტექსტებზე კომენტარების დართვას. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების, ასევე, ვიწროდარგობრივი მეთოდებისა და უახლოესი ინტერდისციპლინარული მიდგომების გამოყენებით საღვთისმეტყველო-თეოლოგიური პროექტების განხორციელებას შესაბამისი მითითებებისა და ხელმძღვანელობის პირობებში; საღვთისმეტყველო მართლმადიდებლური კვლევითი მეთოდოლოგიის ადეკვატურ გამოყენებას სხვადასხვა სახის</p>

		რელიგიურ და თეოლოგიურ დისკუსიაში მონაწილეობისას.
<b>დასკვნის უნარი</b>	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.	თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: მოცემული სფეროს შესწავლის პროცესში საჭირო მასალის, მონაცემების მოპოვებასა და შეგროვებას, მათი ინტერპრეტაციისა და განმარტების მიზნით; საღვთისმეტყველო ხედვებისა და მიდგომების გამოყენებას დარგის სპეციფიკური მონაცემების შეგროვების პროცესში და სიტუაციურ-დისკურსული ანალიზის ჩატარებას დარგის სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განსხვავებულ თეოლოგიურ დისკურსთა თავისებურებების გათვალისწინებას; აქტუალურ საღვთისმეტყველო პრობლემებსა და საკითხებზე დისკუსიის პროცესში თანმიმდევრულ და ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით დამაჯერებელი მოსაზრებებისა და დასკვნების ჩამოყალიბებას.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.	თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: საღვთისმეტყველო თეორიების, მოძღვრებების, იდეების, თეზისებისა და შეხედულებების პრეზენტაციას ზეპირი და წერილობითი სახით როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენებზე; თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებისა და უახლოესი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საღვთისმეტყველო და რელიგიური წყაროებისა და მასალების მოძიებისა და გამოყენების პროცესში; დაუფლებული დარგობრივი და დარგთაშორისი ცოდნის დამაჯერებელ წარმოდგენას სპეციალისტთა და არასპეციალისტთა ფართო წრის წინაშე.
<b>სწავლის უნარი</b>	საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.	თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: საკუთარი სწავლის პროცესის იმგვარად შეფასებასა და დაგეგმვას, რომ უმტკივნეულოდ შეძლოს თვისობრივად ახალ სიტუაციაში ადაპტირება, ავტონომიური ან/და ჯგუფურად მუშაობისა და მართვის უნარის გამომუშავება; დარგის შესწავლის

		პროცესში წამოჭრილი პრობლემებისა და საჭიროებების დადგენა-შეფასებას, ასევე, მათი გადაჭრის ეფექტური გზებისა და სამომავლო პერსპექტივების დასახვას; სწავლის შემდგომი საჭიროების დადგენას; საკუთარი დროის ისე განაწილებას და დაგეგმვას, რომ ეფექტურად მოახერხოს საკუთარი უნარ-ჩვევების შემდგომი დახვეწა და განვითარება.
<b>ღირებულებები</b>	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შემდეგს: რელიგიურ და არარელიგიურ ღირებულებებში გარკვევასა და სათანადო ორიენტაციას; ზოგადსაკაცობრიო ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრების პროცესში მონაწილეობას; ალტერნატიული თვალსაზრისებისა და შეხედულებების პატივისცემას; რელიგიათა და კულტურათა დიალოგში მონაწილეობასა და შემწყნარებლობის პრაქტიკის დამკვიდრებას.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ისეთ ორ ელემენტად, როგორცაა შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი პროცენტული წილი. შეფასების შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს (დასწრება, აქტიურობა, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.) კომპონენტებად, რომლებსაც აგრეთვე თავისი პროცენტული წილი აქვთ ამ ელემენტის ფარგლებში. შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შეფასება ეყრდნობა ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის (წერიტი, ზეპირი) ფორმატი, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით (სილაბუსით) დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ საბაკალავრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და დადგენილი წესით, მიენიჭა თეოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.